სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

ო ქ მ ი # 8

ქ. ონი 25. 08. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ ბერელიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ვლადიმერ ბერელიძე, შუქურა ჯაფარიძე, ნინო ბერუჩაშვილი, ანა ბაქრაძე, ბიჭიკო კერვალიშვილი, მადლენა მეტრეველი, როსტომ ლობჯანიძე, თორნიკე მეტრეველი.

არ ესწრებოდნენ: გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე.

ვლ. ბერელიძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ვლ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

2. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის II კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს. ვლ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

3. 2023 წელს ონის მუნიციპალიტეტის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით განსახორციელებელი პროექტების ცვლილებების შესახებ.

/მომხს. ვლ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ვლ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ და აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილი ცვლილებები ასახავს მოსახლეობის ინტერესებს და შესაძლებლობის ფარგლებში ითვალისწინებს იმ პრიორიტეტული თემების დაფინანსებას, რომლებიც აქტუალურია მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებისთვის,

თუმცა პრობლემები კვლავ რჩება და ეტაპობრივად, წლის მანძილზე მოხდება იმ საკითხების დაფინანსება, რაც აწუხებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი საკითხის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის II კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს. ვლ. ბერელიძე- კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის II კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირა საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

მოისმინეს: 3. 2023 წელს ონის მუნიციპალიტეტის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით განსახორციელებელი პროექტების ცვლილებების შესახებ.

/მომხს. ვლ. ბერელიძე- კომისიის თავმჯდომარე/

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი 2023 წელს ონის მუნიციპალიტეტის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით განსახორციელებელი პროექტების ცვლილებების შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვლადიმერ ბერელიძე

კომისიის თავმჯდომარე